საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ნოემბრის 15. № 26 ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

**სახელმწიფო წყობილება.**

151. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შესახებ.

**სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.**

152. საქართველოს სსრ-ში 1937 წელს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ.

**მრეწველობა.**

153. ღორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

**მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. ხოფლის მეურნეობა.**

154. საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ტყის ნაკვეთებიდან გამოსაყენებელი მერქნის სამორე სასყიდლის შესახებ.

**ვაჭრობა. მომარაგება.**

155. თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-საგლეხო ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

156. ნედლი ბამბის ადგილობრივ ჩარჩენასთან ბრძოლის შესახებ.

157. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების 1936 წლის მოსავლიდან დამზადებათა გეგმის შესახებ.

**ჯანმრთელობის დაცვა.**

158. „საქართველოს სსრ-ში სააფთიაქო საქმის მმართველობის რეორგანიზაციის თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის მე-5[1] და მე-10 მუხლების დამატების შესახებ.

## სახელმწიფო წყობილება

### 151. დადგენილება ს. კ. ს.

**საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს და მოკავშირე რესპუბლიკების დეპეშათა სააგენტოების დებულების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ. 36-შ) დამტკიცებულ და ა/წ. სექტემბრის 1-დან სამოქმედოდ შემოღებულ იქნას ქვემომდევნო დებულება საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შესახებ.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. სექტემბრის 22. № 1180.
ტფილისი.

---

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შესახებ.

1. საქართველოს დეპეშათა სააგენტო („საქდეს") საქართველოს სსრ ცენტრალური საინფორმაციო ორგანოა და იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან.

2. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ეკისრება:

ა) საერთო ინტერესის მქონე და საქართველოს სსრ-ის შესახებ პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა ცნობების შეგროვება და გავრცელება საქართველოს სსრ ფარგლებში;

ბ) სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს დავალებით ამ ცნობების გადაცემა სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოსათვის;

გ) სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან მიღებული საერთო-საკავშირო და უცხოეთის ინფორმაციის გავრცელება საქართველოს სსრ ფარგლებში;

დ) ინფორმაციის შეგროვებისა და გავრცელების სფეროში სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს კონკრეტულ დავალებათა შესრულება.

3. ინფორმაციის შეგროვებისათვის საქართველოს დეპეშათა სააგენტოს აქვს თავისი საკორესპონდენტო პუნქტები და აგრეთვე, საჭიროებისდამიხედვით, იგი გზავნის ადგილებზე თავის სპეციალურ კორესპონდენტებს.

**შენიშვნა.** სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოწყობილი საკავშირო მნიშვნელობის მქონე საკორესპოდენტო პუნქტები შედიან საქართველოს დეპეშათა სააგენტოს სისტემაში; ამ პუნქტების კორესპოდენტებს ნიშნავს სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტო იმ კანდიდატების რიცხვიდან, რომელთაც დაასახელებს საქართველოს დეპეშათა სააგენტო.

4. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია გადაიცემა ტელეგრაფით, რადიოთი და ტელეფონით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული შეღავათიანი ტარიფით, უშუალოდ მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის ცნობების გადაცემის შემდეგ, იმ ვადაზე და იმ წესით, რაც განსაზღვრულია სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს ხელშეკრულებით. ის ინფორმაცია რომელიც შეიცავს კანონებსა და მთავრობის განკარგულებებს, გადაიცემა მთავრობის ცნობების წესისამებრ.

5. საავტორო უფლების შესახებ მოქმედ კანონთა თანახმად, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს აქვს ავტორის ყველა უფლება ყოველგვარი სახის კავშირგაბმულობით მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე.

6. საქართველოს დეპეშათა სააგენტო იღებს მის მიერ ყოველი სახის კავშირგაბმულობით გავრცელებული საინფორმაციო მასალისა და სხვა გამოცემისათვის სასყიდელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობით.

7. ფინანსიური ურთიერთობანი სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოსა და საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შორის ერთმანეთისათვის ინფორმაციის გადაცემის სფეროში რეგულირდება მათ შორის დადებული სათანადო ხელშეკრულებით.

8. საქართველოს დეპეშათა სააგენტო მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და მას აქვს იურიდიული პირის უფლებანი.

9. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე.

დირექტორს და მის მოადგილეს ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელის წარდგენით.

10. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დირექტორი ხელმძღვანელობას უწევს ამ სააგენტოს მთელ საქმიანობას.

11. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ხარჯთაღრიცხვას და შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

12. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

13. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს საქმიანობის ხელმძღვანელობას და კონტროლს ანხორციელებს სსრ კავშირის დეპეშათა სააგენტო.

---

## სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

### 152. დადგენილება ს.კ.ს.

**საქართველოს სსრ-ში 1937 წელს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის ჩატარების შესახებ.**

„1937 წელს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 28-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 29-ისა, ივლისის 22-ისა და აგვისტოს 15-ის დადგენილებათა შესაბამისად, მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ჩატარებულ იქნას 1937 წლის იანვრის 6-ს.

განსაკუთრებული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ხულოს, ლენინგორისა და ჯავის რაიონებში, აგრეთვე სოხუმის რაიონის ნაწილში (ფსხის და აჟარის სასოფლო საბჭოები) აღწერა ჩატარებულ იქნას 1936 წლის ნოემბრის 15-დან ნოემბრის 25-მდე, ხოლო არხოტის, ბარისახოს, ბაცალიგოს და შატილის სასოფლო საბჭოებში (დუშეთის რაიონი) და ომალოს და დართლოს სასოფლო საბჭოებში (მთა-თუშეთი, თელავის რაიონი) 1936 წლის ოქტომბრის 1-დან ოქტომბრის 10-მდე.

2. მოსახლეობის აღწერა ჩაატარონ სახალხო-სამეურნეო აღწერის ორგანოებმა. პასუხისმგებლობა მისი ჩატარებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსს.

3. ავადმყოფებისა—საავადმყოფოებსა და კლინიკებში, დასასვენებლად მყოფთა—სანატორიუმებსა და დასვენების სახლებში, ბალღებისა—დედისა და ბავშვის სახლებში, ჩჩვილთა სახლებში, სანატორული ტიპის ბაგებში, საბავშვო სახლების მოწაფეებისა და აგრეთვე ინვალიდთა სახლებში მყოფი ინვალიდების აღწერა დაეკისროს სათანადო დაწესებულებათა ადმინისტრაციას სსრ კავშირის საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციის მიხედვით.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, მთავარ საკურორტო სამმართველოს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების სრულიად საქართველოს კავშირს და სხვა უწყებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ აღნიშნული ტიპის დაწესებულებანი:

ა) მიაწოდონ ოქტომბრის 20-მდე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საქალაქო და სარაიონო ინსპექტორებს ამ დაწესებულებათა დაწვრილებითი სიები, თვითეული დაწესებულების სამყოფელი ადგილის ზედმიწევნითი მისამართის აღნიშვნით;

ბ) მოახდინონ განკარგულება-თვითეულ დაწესებულებაში მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ; ამ პირის გვარი უნდა ეცნობოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სათანადო საქალაქო და სარაიონო ინსპექტორს არა უგვიანეს ნოემბრის 5-ისა;

გ) დიდ დაწესებულებებში, აღწერის ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირის დანიშვნის გარდა, დაავალონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს—გამოყონ დაწესებულების პერსონალის შედგენილობიდან აღრიცხვის ჩასატარებლად საჭირო პირთა საკმაო რიცხვი—თვითეულ 150 კაცზე თითო პირის ვარაუდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებთან ერთად, ჩააბან მოსახლეობის აღწერაში, მოანგარიშეებისა და კონტროლიორ-ინსტრუქტორების სახით, სკოლებისა და საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მომუშავენი, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების უფროს კლასთა მოსწავლენი იმ ვადით, რაც საჭიროა წინასწარი მომზადებისა და თვით აღწერის ჩატარებისათვის.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, სათანადო შემოწმების შემდეგ დაამტკიცონ, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებთან ერთად, შერჩეულ მოანგარიშეთა და კონტროლიორ-ინსტრუქტორთა კადრების პერსონალური შედგენილობა-არა უგვიანეს 1936 წ. ოქტომბრის 20-ისა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და საქალაქო საბჭოებთან ერთად, აღნუსხონ ის პირნი, რომელნიც მობილიზებულ უნდა იქნან სარაიონო აქტივიდან რწმუნებულებად და მათ თანაშემწეებად, და მათი პერსონალური სია წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ოქტომბრის 25-მდე.

6. აღწერის სარაიონო რწმუნებულთა თანაშემწეებად რაიონებში გასაგზავნად მობილიზებულ იქნან კვალიფიციური მომუშავენი რესპუბლიკანურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პასუხისმგებელ პირთაგან (არა ნაკლებ 60 კაცისა); ამ მომუშავეთა პერსონალური სიის შედგენა დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საამმართველოს.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას და ორგანიზაციას—გაანთავისუფლოს აღწერისათვის მობილიზებული ყველა მომუშავე მის უშუალო სამუშაოსაგან აღწერის მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო დროის განმავლობაში.

8. მოწოდებულ იქნას აღწერისათვის სოფლად მთელი პედაგოგიური პერსონალი სოფლის სკოლებში დეკემბრის 1-ლსა და 15-ს შუა—ერთი დღით, დეკემბრის 29-სა და 31-ს შუა—ერთი დღით, იანვრის 1-ლსა და 5-ს შუა—ერთი დღით, იანვრის 6-ს, და იანვრის 7-დან იანვრის 10-მდე—ერთი დღით.

9. მოწვეულ იქნას ოქტომბრის ბოლოს ტფილისში სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებისა და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სარაიონო და საქალაქო ინსპექტორების თათბირი აღწერის სარაიონო საორგანიზაციო გეგმების განხილვისა და აღწერის მოძზადებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განბჭობისათვის.

10. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს—მათი პირადი პასუხისმგებლობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მოიყვანონ ოქტომბრის 25-მდე სრულ წესზე სახლების ნუმერაციონ და ყველა, გამოუკლებლივ, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის და მოედნის სახელწოდება, გამოკიდონ-რა ყველა სახლზე მისი სათანადო ნომერი და თვითეულ კუთხეზე ტაბულა ქუჩის სახელწოდებით;

ბ) დაამთავრონ იმავე ვადაზე საეზოვო უბნების სიათა შედგენა;

გ) წარადგინონ არა უგვიანეს ნოემბრის 1-ისა საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოსთან არსებულ სააღწერო ბიუროში ქალაქების სქემატური გეგმები, ქუჩებისა და კვარტალების სახელწოდებისა და სახლთმფლობელობათა ნომრების აღნიშვნით.

11. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—უზრუნველყონ ოქტომბრის 15-მდე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო საქალაქო და საუბნო ინსპექტურები მუშაობისათვის საჭირო სადგომებით, სათანადო გაწყობილობით (მაგიდები, შკაფები, ტელეფონები) და კომუნალური მომსახურეობით (განათება, გათბობა).

12. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს—უზრუნველყონ აღწერაზე მომუშავენი საჭირო სადგომებით ინსტრუქტორებისა და სააღწერო მასალის მიღებისათვის, აგრეთვე მიმოსვლის საშუალებით, რისთვისაც, უკეთუ საჭირო იქნება, გამოიყენონ დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვ. ტრანსპორტი.

13. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—მოაწოდოს თვეში ორჯერ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია აღწერისათვის მომზადების მუშაობის მსვლელობის შესახებ.

14. დაწესდეს, რომ ცნობები, რაც შეიკრიფება ცალკეულ პირებზე მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის დროს, არ უნდა იქნას გახმაურებული და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სასტატისტიკო დამუშავების მიზნით.

ის მოანგარიშე, კონტროლიორ-ინსტრუქტორი და აღწერის სხვა მომუშავე, რომელიც გაახმაურებს ცნობებს ცალკეული პირების შესახებ, მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხლის თანახმად.

15. მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის ყველა მოანგარიშეს და კონტროლიორ-ინსტრუქტორს უნდა მიეცეს სპეციალური მოწმობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს თავმჯდომარისა და აღწერის სარაიონო (საქალაქო) ხელმძღვანელის ხელმოწერით.

მოსახლეობის მოთხოვნისამებრ აღწერის მომუშავე, რომელიც გამოკითხვას ახდენს, მოვალეა წარადგინოს თავისი მოწმობა.

საქ. სსრ. ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. სექტემბრის 22. № 1219.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 233 №-ში 1936 წ. ოქტომბრის 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

## 153. დადგენილება ს.კ.ს.

**ღორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

სახელმწიფო მრეწველობის უზრუნველსაყოფად ღორის ტყავისა და ჯაგრის შენარჩუნებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს ღორების დაკლვა სასაკლაოებისა და სასაკლაო ბაქნების გარეშე იმ ადგილებში, სადაც ასეთი სასაკლაოები და ბაქნები არსებობს.

**შენიშვნა.** იმ ადგილებში, სადაც სასაკლაოები და სასაკლაო ბაქნები არ არსებობს, ნებადაირთვას სახალხო მეურნეობის ყველა სექტორის ხაზით ღორების ეზო-ეზოდ დაკლვა.

2. აიკრძალოს:

ა) ღორის ლეშის გაფუფქვა და შატრუსვა, იმისდამიუხედავად, თუ ვინა კლავს (სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მათ შორის საბჭოთა მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა, კოლმეურნე ან ერთპიროვნული მეურნე), რა მიზნით კლავს (გაყიდვისა თუ პირადი მოხმარებისათვის) და სადა კლავს (სასაკლაოში და სასაკლაო ბაქანზე თუ ეზოში);

ბ) ღორის ლეშის დამუშავება და გამოყენება წინასწარ გაუტყავებლად, იმისდამიუხედავად, თუ ვინ, რა მიზნით და სადა კლავს ღორს;

გ) არაგადამდები სენისაგან გამწყდარი ღორების ლეშის მოსპობა წინასწარ გაუტყავებლად;

დ) ტყავიანი ღორის ლეშის გაყიდვა.

3. დაწესებულ იქნას ღორის ტყავის და ჯაგრის სავალდებულო ჩაბარება დამმზადებელი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო სადამზადებლო ფასად განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მიერ (მათ შორის საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიური მეურნეობების მიერ) და აგრეთვე კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების მიერ, იმისდამიუხედავად, თუ რა მიზნით დაკლულია ღორი (გაყიდვისა თუ პირადი მოხმარებისათვის).

4. ამა დადგენილების 1-ლი, მე-2 და მე-3 მუხლით გათვალისწინებული წესები არა ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დაკლულია 15 კილოგრამზე ნაკლები ცოცხალი წონის ღორი პირადი მოხმარებისათვის.

5. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200[1] მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 112).

6. ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს: თანამდებობის პირთათვის—პასუხისმგებლობას სასამართლო ან სადისციპლინო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადო მუხლების თანახმად—თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ, ხოლო კერძო პირთათვის—პასუხისმგებლობას სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად (მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის დარღვევა) და პასუხისმგებლობას საადმინისტრაციო და სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 62 მუხლის თანახმად (მე-3 მუხ. დარღვევა).

7. მიენდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამმზადების კომიტეტის რწმუნებულს საქ. სსრ-ში გამოსცეს ორი დეკადის ვადაზე, მიწათმოქმედების, შინავაჭრობის, ჯანმრთელობისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან ერთად, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 3-ის დადგენილება „ღორის ტყავით და ჯაგრით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 115) ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე**

1936 წ. ოქტომბრის 4. № 1253.
ტფილისი.

---

# მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

## 154. დადგენილება ს.კ.ს.

### საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ტყის ნაკვეთებიდან გამოსაყენებელი მერქნის სამორე სასყიდლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნას, რომ ის საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელთაც მიჩენილი აქვთ ტყის ნაკვეთები მუდმივ სარგებლობად ან სხვა სახის სანახებად გადაქცევის მიზნით, იყენებენ მერქანს ამ ტყის ნაკვეთებიდან თავიანთი საჭიროებისათვის (სატყეო ლაბორატორიებისა, საცხოვრებელი სადგომებისა და მუშათა ბარაკების ასაშენებლად, კოლმატაციური ნაკვეთებისა და მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად და სხვა მისთ.) უსასყიდლოდ, ხოლო მერქნის გარეთ გაცემის შემთხვევაში—იხდიან სამორე სასყიდელს ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან, რაც მიჩენილი აქვთ საერთო-საკავშირო საბჭოთა მეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობის საჭიროებისათვის მოსახმარ მერქანზე ზედმეტი მერქანი, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7 დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4), გადაიცემა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ამ ტყეების გადაცემის დროს მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით დადგენილ საფუძველზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. სექტემბრის 22. № 1173.
ტფილისი.

---

## ვაჭრობა. მოგმარაგება.

### 155. დადგენილება ს.კ.ს.

**თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-საგლეხო ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.**

1936 წლის მოსავლის თამბაქოს წინამდგომარე დამზადების დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე 1936 წ. სექტემბრის 25-დან თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-საგლეხო ვაჭრობა.

2. დადასტურებულ იქნას, რომ თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-საგლეხო ვაჭრობა ნებადართულ იქნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით მხოლოდ 1936 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების რესპუბლიკანური გეგმის შესრულების შემდეგ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. სექტემბრის 22. № 1193.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 225 №-ში 1936 წ. სექტემბრის 28.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 156. დადგენილება ს.კ.ს.

### ნედლი ბამბის ადგილობრივ ჩარჩენასთან ბრძოლის შესახებ.

„1936 წლის მოსავლის ნედლი ბამბის დამზადების გეგმის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. სექტემბრის 17-ის თარიღის და 1692 №-ის დადგენილების შესაბამისად, და კოლექტიურ მეურნეობებში და საკოლმეურნეო და ერთპიროვნულ მეურნეობებში შიგნით, პირადი საჭიროებისათვის, ნედლი ბამბის ჩარჩენასთან საბრძოლველად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს ყველგან ბამბის მოსავლის აღებისათვის ანგარიშის ნატურად გასწორება, ბაზარში ნედლი ბამბის გაყიდვა, ბამბის საშინამრეწველო ნაკეთობათა დამზადება და გაყიდვა, აგრეთვე ნედლი ბამბის ხელის ჯინებით გადამუშავება.

2. აიკრძალოს რკინის გზაზე ბამბის ტვირთის გადასაზიდად მიღება ყოველი პირისა და ორგანიზაციისაგან, გარდა შულავრის ბამბასაწმენდი ქარხნისა და ყარაიის შემსყიდველი პუნქტისა.

3. აიკრძალოს ფოსტით გამგზავნელთაგან ნედლი ბამბის, ბოჭკოს და ლინტერის და სხვა ნარჩენისა, აგრეთვე ამაებიდან დამზადებულ საშინამრეწველო ნაკეთობათა მიღება.

4. დაევალოს „ცეკავშირს“ თავისდროულად შეზიდოს მებამბეობის რაიონებში ქულაბამბა-ლინტერი ბამბის მთესველთა მოსამარაგებლად დადგენილი ფასების მიხედვით.

5. ის პირი, ვინც ამა დადგენილებას დაარღვევს, მიცემულ იქნას პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. ოქტომბრის 10. № 1283.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 239 №-ში 1936 წ. ოქტომბრის 15.

---

## 157. დადგენილება ს.კ.ს.

### საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების 1936 წლის მოსავლიდან დამზადებათა გეგმის შესახებ.

„ზეთოვანი კულტურების 1936 წლის მოსავლიდან დამზადებათა წლიური გეგმის შესახებ“ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1936 წლის სექტემბრის 13-ს № 303 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1935 წლის მოსავლიდან ზეთოვანი და ახალ ზეთოვანი კულტურების დამზადებათა წლიური გეგმა, სესხის დაბრუნების გეგმა და „მტს"-ის ნატურალურ გადასახადის გეგმა შემდეგი რაოდენობით (ცენტნერობით):

| კულტურები | სულ | მათ შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დამზადება კონტრაქტაციით | კონტრაქტაციის გეგმის ზევით დამზ. | თესლის სესხის დაბრუნება | „მტს"-ების ნატურალური გადასახადი |
| სოია . . . . . | 79.440 | 59.330 | 17.000 | — | 3.110 |
| არახისი . . . . . | 4.164 | 2.200 | 1.000 | 964 | — |
| პერილა . . . . . | 555,6 | 3,50 | 150 | 55,6 | — |
| ხუჰუჰა სელი . . . . . | 1.300 | 1.300 | — | — | — |

2. დამტკიცდეს რაიონების მიხედვით ზეთოვანი და ახალ ზეთოვანი კულტურების დამზადებათა გეგმის, თესლის სესხის დაბრუნებისა და „მტს"-ებისათვის ნატურალური გადასახადების განაწილება (იხ. დანართი № 1).

3. დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაიყვანონ არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 30-ისა კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების დამზადებათა გეგმები და თესლის სესხის დაბრუნების გეგმები.

4. დადასტურდეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით დაწესებული ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების დამზადებათა წლიური გეგმის შესრულების საზღვრითი ვადები.

5. დამტკიცდეს ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების მისაღები პუნქტების თანდართული სია (იხ. დანართი № 2).

6. დაევალოს მარცვალდამზადებას, სახჯიშფონდისა და ცეკავშირის სისტემას აწარმოონ 1936 წ. მოსავლის ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების მიღება იმ ხარისხობრივი მიღების წესების საფუძველზე, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სიმეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1935 წლის თებერვლის 28-ის № 765 და 1936 წლის აპრილის 3-ის № 1218 დადგენილებებით.

7. წინადადება მიეცეს მარცვალდამზადების საქართველოს კონტორას, სახჯიშფონდის საქართველოს კონტორას და ცეკავშირს არა უგვიანეს 1936 წლის ოქტომბრის 5-ისა შეაკეთონ და სრულ წესრიგში მოიყვანონ ყველა საწყობი და უზრუნველყონ მისაღები პუნქტები საჭირო ინვენტარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1936 წლის მოსავლის ზეთოვანი და ახალზეთოვანი (ცენტნე

| რაიონები | სასაქონლო სოია | | | | სოია სახჯიშ. | | არა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | ამ რიცხვში | | | | ამ რიცხვ. | |
| | | კონტრაქტაციით | კონტრაქტ. გეგმის გარეშე | ნატურგადასახ. მტს. | სულ | კონტრაქტაციით | სულ |
| 1. ქუთაისის . . . . . | 5590 | 4450 | 1100 | 140 | 880 | 880 | 1432 |
| 2. სამტრედიის . . . . . | 5610 | 4340 | 1100 | 170 | — | — | — |
| 3. წულუკიძის . . . . . | 4650 | 3550 | 800 | 300 | — | — | — |
| 4. ვანის . . . . . | 3560 | 2680 | 800 | 80 | | | 530 |
| 5. ბაღდადის . . . . . | 1720 | 1420 | 300 | | | | |
| 6. ჯუღელის . . . . . | 4610 | 3620 | 800 | 90 | | | |
| 7. ჩხარის . . . . . | 4650 | 3850 | 800 | | | | |
| 8. ჭიათურის . . . . . | 4050 | 3450 | 500 | | | | |
| 9. ორჯონიკიძის . . . . | 2050 | 1750 | 300 | | | | |
| 10. ტყიბულის . . . . . | 590 | 590 | | | | | |
| 11. აბაშის . . . . . | 9680 | 5630 | 3000 | 1050 | — | — | 386 |
| 12. ცხაკაიას . . . . . | 8010 | 5150 | 2800 | 350 | — | — | 567 |
| 13. გეგეჭკორის . . . . . | 3960 | 3260 | 600 | 100 | — | — | — |
| 14. ზუგდიდის . . . . . | 2690 | 1950 | 600 | 140 | 740 | 740 | 1249 |
| 15. ხობის . . . . . | 4800 | 3160 | 1500 | 140 | — | — | — |
| 16. წალენჯიხის . . . . . | 640 | 540 | 100 | | | | |
| 17. ჩხოროწყუს . . . . . | 1520 | 1320 | 200 | | | | |
| 18. მახარაძის . . . . . | 2800 | 2000 | 600 | 200 | | | |
| 19. ლანჩხუთის . . . . . | 4440 | 3100 | 1000 | 340 | | | |
| 20. ჩოხატაურის . . . . | 1500 | 1300 | 200 | | | | |
| 21. აჭარის ასსრ . . . . . | 700 | 600 | 100 | | | | |
| 22. აფხაზეთის სსრ . . . | — | — | — | — | — | — | — |
| 23. გორის . . . . . | — | — | — | — | — | — | — |
| 24. ბორჯომის . . . . . | — | — | — | — | — | — | — |
| 25. ახალქალაქის . . . . | | | | | | | |
| 26. ბოგდანოვკის . . . . | | | | | | | |
| 27. წალკის . . . . . | | | | | | | |
| ᲯᲐᲛᲘ . . . . . | 77820 | 57710 | 17000 | 3110 | 1620 | 1620 | 4164 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მ ა** **დანართი № 1**

**კულტურების დამზადებისა საქართველოს სსრ-ში**
**რობით)**

| ხისი სახჯიშფონდის | | | სასაქონლო პერილა | | | | პერილა სახჯიშფონდის | | | | ს უ ლ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამ რიცხვში | | | | ამ რიცხვში | | | | ამ რიცხვში | | | | |
| კონტრაქტ. | კონტრ. გეგმის გარეშე | სათესლე სესხი | ს უ ლ | კონტრაქტ-ციით | კონტრ. გეგმის გარეშე | სათესლე სესხი | ს უ ლ | კონტრაქტ-ციით | კონტრაქტ. გეგმის | სათესლე ფონდი | ს უ ლ | ამ რიცხვში |
| 710 | 350 | 372 | — | — | — | — | 25,4 | 21 | — | 4,4 | — | — |
| — | — | — | 79,2 | 48 | 25 | 6,2 | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | 80,0 | 48 | 25 | 7,0 | — | — | — | — | — | — |
| 300 | 120 | 110 | 71,8 | 43 | 20 | 8,8 | | | | | | |
| 220 | 80 | 86 | — | — | — | — | 94,0 | 58 | 25 | 11,0 | — | — |
| 320 | 120 | 127 | | | | | 67,3 | 42 | 20 | 5,3 | — | — |
| — | — | — | 12,7 | 11 | — | 1,7 | — | — | — | — | — | — |
| 650 | 330 | 269 | — | — | — | — | 33,4 | 21 | 10 | 2,4 | — | — |
| — | — | — | 55,5 | 37 | 15 | 3,5 | | | | | | |
| — | — | — | 35,3 | 21 | 10 | 5,3 | — | — | — | — | — | — |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 50 | 50 |
| — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 30 | 30 |
| | | | | | | | | | | | 800 | 800 |
| | | | | | | | | | | | 280 | 280 |
| | | | | | | | | | | | 140 | 140 |
| **2200** | **1000** | **964** | **335,5** | **208** | **95** | **32,5** | **220,1** | **142** | **55** | **23,1** | **1300** | **1300** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორამ უზრუნველყოს დამზადებათა დაუბრკოლებელი დაფინანსება.

9. აიკრძალოს ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურებიდან ზეთის გამოხდა, ამ კულტურების წისქვილებში დაფქვა და ბაზარზე და სავაჭრო-ადგილებზე მათი გაყიდვა ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების ხაზით დამზადებათა რესპუბლიკური გეგმის შესრულებამდე, სათესლე ფონდის ჩაყრამდე, და დაწესდეს, რომ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც წესიერად შეასრულებენ ზეთოვანი კულტურების წლიურ გეგმას, უფლება ჰქონდეთ გამოხადონ თავისი შინაური საჭიროებისათვის საზეთე თესლეული ჩაბარებული თესლეულის 5 პროცენტის რაოდენობით.

10. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-16 მუხლის შესაბამისად დაწესდეს, რომ ფულადი შემოსავალი ეძლიოს კოლმეურნეობათა წევრებს კოლმეურნეობების მიერ მიღებული თანხების 60% არა ნაკლებ ერთგზის ან ორგზისა თვეში, იმისდამიხედვით, თუ რამდენ ზეთოვან და ახალზეთოვან კულტურებს ჩააბარებენ ისინი სახელმწიფოს.

11. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ჩაუშვას ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების დამზადების რაიონებში ინსტრუქცია ამ დადგენილების გატარების შესახებ.

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო მიაქცევს საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმის შესრულება წარმოადგენს 1936 წ. უმნიშვნელოვანეს ამოცანას, და წინადადებას აძლევს ყველა საბჭოთა ორგანიზაციებს უზრუნველყოს თვითეული კოლმეურნეობის და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ ზეთოვანი და ახალზეთოვანი კულტურების ჩაბარების გეგმის შესრულება.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მეგუკე.**

1936 წ. სექტემბრის 22. № 1202.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

**საქართველოს სსრ-ში 1936 წ. კამპანიაში დამზადებული ზეთოვანი და ახალ-ზეთოვანი კულტურების მისაღები პუნქტები რკინის გზების სადგურებთან, ნავთსადგურებთან და დაშორებულ ადგილებზე.**

რკინისგზის სადგურებთან მდებარე პუნ-ქტები ზაგოტზერნოს და საქჯიშფონდის ხაზით:

1. ქუთაისი
2. სამტრედია
3. ჯულელი
4. აბაშა
5. ცხაკაია
6. ზუგდიდი
7. ხონი
8. ლანჩხუთი
9. სუფსა
10. მახარაძე
11. ნატანები
12. ბათომი
13. ქობულეთი
14. ოჩემჩირი
15. ბორჯომი
16. გორი

ნავთსადგურებთან მდებარე პუნქტები ზაგოტზერნოს ხაზით:

1. სოხუმი
2. გუდაუთი
3. გაგრა

რკ. გზ. სადგურებთან მდებარე პუნქტე-ბი სამომხმარებლო სისტემის ხაზით იმ რაიონებში, სადაც უკანასკნელმა ჩაატა-რა კონტრაქტაცია:

1. ჭიათურა
2. საჩხერე
3. ორპირი
4. ხორაგოული
5. ხრესილი
6. ტყიბული

სადგურებთან მდებარე დროებითი პუნ-ქტები, გახსნილი სამომხმარებლო სის-ტემის ხაზით იმ რაიონებში, სადაც ახალზეთოვანი კულტურების კონტრაქ-ტაცია ჩაატარა ზაგოტზერნომ:

1. მუხიანი
2. სვირი.
3. ძირულა
4. საჯევახო (ხსნის ჩოხატაურის რაი-სამომხმარებლო კავშირი სოიის მისაღებად თავისი რაიონიდან)

დაშორებული დროებითი პუნქტები სა-მომხმარებლო სისტემის ხაზით:

1. წულუკიძე
2. ვანი
3. ბაღდადი
4. ჩხარი
5. გეგეჭკორი
6. წალენჯიხი
7. ჩხოროწყუ
8. ჩოხატაური
9. წალკა
10. ბოგდანოვკა

დაშორებული პუნქტები ზავოტზერნოს ხაზით:

1. ახალქალაქი

სულ 40 პუნქტი, მათ შორის რკ. გზ. სა-დგურების ახლო მდებარე 26 ნავთსა-დგურებთან ახლოს 3 და დაშორებუ-ლი—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანმრთელობის დაცვა

37 - 18

## 158. დადგენილება ს.კ.ს.

**„საქართველოს სსრ-ში საოფთიაქო საქმის მმართველობის რეორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლისა და ამ დადგენილებისათვის მე-5[1] და მე-10 მუხლების დამატების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1936 წ. აგვისტოს 13-ის თარიღისა და 978 №-ების დადგენილებაში „საქართველოს სსრ-ში საოფთიაქო საქმის მმართეელობის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 28, მუხ. 138) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„4. დაეკისროს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის ცენტრალურ ორგანოებს და ჯანმრთელობის საქალაქო და საარაიონო განყოფილებებს კონტროლი და მეთვალყურეობა იმისათვის, რათა აფთიაქები ასრულებდენ მათთვის დადგენილ წესებს, სამკურნალო-საპროფილაქტიკო დაწესებულებებისათვის საჭირო სამედიცინო საქონლის განაცხადების შემუშავება და მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებათა წლიური გეგმების განხილვა“.

2. დაემატოს მე-5[1] და მე-10 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„5[1]. დაევალოს მთავარ სააფთიაქო სამმართველოს—სააფთიაქო წამოწყებათა ქსელში შესატანი ცვლილებანი შეუთანხმოს ხოლმე: ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ქალ. ტფილისში—ტფილისის საქალაქო საბჭოს.“

„10. დაწესდეს, რომ მთავარი სააფთიაქო საამართველოს ადგილობრივ განყოფილებათა მოგება მთლად მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში და იხარჯება ძირითადად სააფთიაქო მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესებაზე სათანადო რაიონებისა და ქალაქების ტერიტორიაზე“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. სექტემბრის 22. № 1205-ა.

ტფილისი.

**ფასი 20 კაპ**

**გამომცემელი** საქ. სსრ ხ. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 49. 3/მ. **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 17/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/ ტირაჟი 1.900.

მთავლ. რწმ. № 87093. საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 985